პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №53

20 19 წ. "19" 03

ქ.თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №39 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს" (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები":

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე საფეხური	ვებინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
2	ფილამწყობი (1), (2)	მესამე საფეხური	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
3	ჰაერის კონდიცირება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 040571	52	82	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
4	შემდუღებელი (1), (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	90	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	შემდუღებელი (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109			
5	ელექტროობა (1), (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	90	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	ელექტროობა (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	70	100			

6	წყალმომარაგების სისტემები (1), (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში 040684	52	82	ქართული	45	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
	წყალარინების სისტემები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების ექსპლუატაციაში 040685	52	82			

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 19 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეთექვსმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე